იდუმალმცოდნეობის შესახებ

თამაზ ბაციკაძე
სტუ-ს პროფესორი, ტ.მ.დ.

მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით მისტიციზმთან დამოკიდებულების მიხედვით ადამიანები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველი ჯგუფი შედარებით მრავალრიცხოვანია. მათ ისარგებლეს ცივილიზაციის სიკეთით, მიიღეს ოფიციალური განათლება, რომელიც როგორც წესი აგრესიულ და ყოვლისმცოდნე მატერიალიზმზე არის დაფუძნებული. ცხოვრებაში ისინი მატერიალური სიკეთეების მოპოვებაზე არიან ორიენტირებული. იღებენ სიამოვნებას ფიზიკური სამყაროს გრძნობადი და ინტელექტუალური შეცნობის შედეგად. მათთვის მთავარია, სხვაზე უარესად არ გამოიყურებოდნენ, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს ცნობილია, რომ ასრულებული სურვილები ავტომატურად ბადებენ ახალ სურვილებს, რომლებსაც საბოლოოდ მოჰყვება იმედის გაცრუება, დეპრესია და სხვადასხვა გენეზისის ავადმყოფობა. ამ დროს ადამიანი ადანაშაულებს ყველას და ყველაფერს: უსამართლობას, ცხოვრების უაზრობას, ყველაფერს საკუთარი თავის გარდა.

მეორე ჯგუფი შედარებით მცირერიცხოვანია, მათ გამჭრიახი გონება ახასიათებთ. საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ისინი მიდიან დასკვნამდე, რომ ყველაფერი ვერ თავსდება მატერიალიზმის ჩარჩოებში. ბევრი მოვლენა ფიზიკური კანონებით ვერ აიხსნება. სიცოცხლის წარმოშობის თეორია ზეცნობიერი მიზეზის გარეშე აბსურდამდე მიდის. ღვთიური განგების გარეშე გაურკვეველია სიცოცხლის მიზანი და ა.შ. მათი ხელოვნებით გატაცება დროებით შვებას იძლევა, დროებით იმიტომ, რომ სულიერი ძალების განვითარების პარალელურად ვითარდება მოყირჭება და დაუკმაყოფილებლობა. ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები მისი ავტორის თვით გამოხატვის მცდელობას წარმოადგენს და არ იძლევა პასუხს შეკითხვებზე: საიდან მოვდივართ? ვინ ვართ? რატომ ვართ აქ? სად მივდივართ?

ამ კითხვებზე პასუხის ძებნის გზას მივყავართ რწმენამდე – რელიგიამდე, რამეთუ რელიგია სხვა არაფერია თუ არა რაიმე სისტემის ირგვლივ გაერთიანება, რიტუალების, ტრადიციებისა და ქცევათა წესების დაცვა რწმენის სფეროში.

თუ თავის დროზე ჭეშმარიტების მაძიებლებს მეცნიერებაში არ მოსწონდათ სულიერების უარყოფა და ყალბი იდეალები, ზუსტად ასევე ტრადიციულ რელიგიებში არ მოსწონდათ: დოგმატიზმი, ფორმალიზმი, გადამეტებული რიტუალები და უმეცრებაც კი. სიტყვების უკან იკარგებოდა არსი, ფრაზის იქით – სულიერება.

ამგვარად მეცნიერებას არ ჰყოფნიდა სულიერება და იდეურობა; რელიგიას – მეცნიერული ცოდნა და თანამედროვე სული; ხელოვნებას – უნივერსალურობა. ჭეშმარიტების მაძიებლებისათვის დროებითი გამოსავალი იდუმალთმცოდნეობაში გამოჩნდა. ამ მეცნიერების სქემატური მდებარეობა მეცნიერებასა და რელიგიას შორის ნაჩვენებია ქვემოთ.

საიდუმლო მეცნიერებათა არსებობის შესახებ ცოდნა უხსოვარი დროიდან ყველა ხალხს ჰქონდა. ხოლო ეზოთერულ ცოდნას მხოლოდ რჩეულნი ფლობდნენ. მათ ხელდასხმულებს უწოდებდნენ (ადეპტი, ოსტატი, გურუ, არხატი). ეზოთერული ცოდნის მოსწავლეებს უწოდებდნენ იეროფანტებს და ნეოფიტებს.

იდუმალმცოდნეობა შეიცავს სხეულის, ემოციების, გონის, ნებისყოფის ვარჯიშის სისტემებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პიროვნების ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების განვითარება. ინდოეთში განსაკუთრებით პოპულარულია მეთოდიკა, რომელსაც იოგა ეწოდება და არსებითად მისგან მცირედ განსხვავებული ჰერმეტიზმი, რომლის სამშობლოც წარსულში ეგვიპტე იყო.

ხელდასხმა – პიროვნების ევოლუციური განვითარების დაჩქარება იდუმალმცოდნეობის



შესწავლისა და ათვისების გზით პირობითად სამ საფეხურად შეიძლება დაიყოს.

1. ეთიკური საფეხური – ზნეობრივი განწმენდა; ხასიათის შეცვლა; ემოციებისა და აზრების სრული კონტროლი; მედიტაციის ტექნიკის ათვისება, ანუ კონცენტრირებული აზროვნება ფიზიკური ფორმის, აზრობრივი სახეებისა და განზოგადოებული იდეების შესახებ; საკუთარი უკვდავი "მე"-ს არსის გაცნობიერება. ზეცნობიერების პირველი სტადიის მიღწევა.

2. ტექნიკური საფეხური – "სრულყოფილება"; ექსსტატიკური ხედვა; ზეპირადულის გაცნობიერება და კავშირი ღვთაებრივთან (კოსმიურ ცნობიერებასთან) მიიღწევა შესაბამისი ვიბრაციებით უკვდავი "მე"-სა და სამყაროს სულს შორის.

3. ოსტატის საფეხური ქმნის ზეადამიანს, რომელმაც საკუთარი უკვდავი "მე" (სული, მონადა, ღვთაებრივი ნაპერწკალი) მოიყვანა ჰარმონიაში ღმერთთან.

იდუმალთმცოდნეობა – არის სწავლებათა კომპლექსი, რომლის საგანია ადამიანის ცხოვრების და გარემო სამყაროს დაფარული მხარე.

იდუმალთმცოდნეობა მიიღწევა ყველა რელიგიისა და მეცნიერების (როგორც ღია, ასევე დახურულის) შედარებითი შესწავლით. მის საფუძველს წარმოადგენს გამოცხადება, ცდა და მსჯელობა.

იდუმალთმცოდნეობის შესწავლა მიგვიყვანს ფსიქიკური ძალების დაუფლებამდე, ზეგრძნობად შემეცნებამდე, ნებისყოფის ძალის გამოვლენამდე და ადამიანის ამაღლებამდე ჩვეულებრივ ცხოვრებაზე.

ამგვარად, ერთის მხრივ იდუმალთმცოდნეობა აღიარებს აპრიორულ ცოდნას, ანუ გამოცხადების შედეგად მიღებულ ცოდნას. ამგვარი მიდგომა ახასიათებს იდუმალთმცოდნეობას, როგორც დოგმატური ხასიათის რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, მეორეს მხრივ იგი მეცნიერულ ნიადაგზე დგას, რადგან აღიარებს ემპირულ მეცნიერულ მიდგომას, რომელიც აგებულია ცდაზე და დასკვნაზე. ეს არა მარტო აახლოვებს იდუმალთმცოდნეობას მეცნიერებასთან, არამედ აკავშირებს კიდევაც, რადგან მეცნიერების სხვადასხვა დარგები და დისციპლინები თავიანთი აღმოჩენებით ამტკიცებენ საიდუმლო ცოდნის ჭეშმარიტებას და პირიქით, ეზოთერული მეცნიერება ავსებს ეგზოთერული მეცნიერების ცოდნას.

სქემაზე ნაჩვენები კავშირი იდუმალთმცოდნეობას, რელიგიას, ფილოსოფიას, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის აკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანის მისწრაფებას გრძნობდეს, სწამდეს და იცოდეს.

სხვათა შორის, საზოგადო ინტერესი იდუმალთმცოდნეობისადმი რაციონალიზმისა და მატერიალიზმის განვითარების უკუპროპორციულია. ეს ისეთი დროა, როცა ცოდნა უფასურდება და ერთდროულად რელიგიასთან ურთიერთობა დაუკმაყოფილებლობის გრძნობას აღძრავს. ასე იყო ქრისტიანობის ჩასახვის დროს, ასე იყო აგრეთვე აღორძინების ეპოქაში. მსგავსი რამ დღესაც შეიმჩნევა.

თვით იდუმალთმცოდნეობის ცნება კრებითი სახელია და იგი რამდენიმე სწავლებისაგან შედგება.

ოკულტიზმი – ოკულტუს ლათინურად, რაც გამოხატავს ცნებას "ზღვარს გარეთ" და ადრე საიდუმლოდ მიჩნეული ცოდნის გამომზეურებას ნიშნავს.

ეგზოთერმიზმი – ბერძნულად ეგზოთერიკუს, რაც გარეგანს, გასაგებს, ყველასათვის ხელმისაწვდომს ნიშნავს.

ეზოთერიზმი – ბერძნულად ეზოთერიკუს, რაც შინაგანს, ადამიანთა ვიწრო რჩეული წრისათვის ხელმისაწვდომს ნიშნავს. მათთვის ვინც სპეციალური სწავლება შეიძინა და ხელდასხმული გახდა.

მისტიციზმი – ბერძნულად მისტიკოს, რაც საიდუმლოს ნიშნავს და ადამიანის ღმერთთან ურთიერთობას, მისგან გასხივოსნებას გულისხმობს.

პირველად ტერმინი "ოკულტური ფილოსოფია" მე-16 საუკუნეში აგრიპა ნეტესგეიმერმა იხმარა. შემდეგ მე-19-ე საუკუნეში ამ ტერმინით სარგებლობდნენ როზენკრეიცერები და მარტინისტები თავისი მოძრაობების აღსანიშნავად, რომლის მიზანი ფიზიკური და ფსიქიკური ბუნების ამოუცნობადი ძალებისა და მოვლენების შესასწავლად იყო მიმართული. თანდათანობით ოკულტიზმის შინაარსი გაფართოვდა და გაღრმავდა. მასში შევიდა: დედამიწისა და კაცობრიობის განვითარების სპეციალური ისტორია; წმინდა საიდუმლოთა გახსნა, რომლებიც მანამდე თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა; კაბალას შესწავლა და ათვისება; აზიური და არაბული სიბრძნე; ზოროასტრიზმი; სკანდინავური საგები; ბერძნული ისტორია; ქრისტიანული აპოკრიფები და გნოსტიკოსთა შემოქმედება.

ოკულტიზმი ორ ძირითად ნაწილად იყოფა; დასავლური, რომელიც თავის დასაწყისს სპარსეთში, ქალდეაში, ბიბილონში, ასირიაში, ეგვიპტესა და იუდეაში იღებს. საბოლოოდ ამ სწავლებამ უმაღლეს გამოცხადებამდე – ქრისტიანობამდე მიგვიყვანა.

ამ ფილოსოფიურ სწავლებას "ჰერმეტიზმი" ეწოდა ბერძნული ღმერთის ჰერმესის მიხედ-

ვით, რომელიც საიდუმლო ცოდნათა მფარველად ითვლებოდა. მას შეესაბამება ტოტი ბერძნულ მითოლოგიაში და მერკური რომაულში.

ჰერმეტიული ფილოსოფია ეგვიპტური პოლითეიზმის, იუდეური და ქრისტიანული მონოთეიზმის, აგრეთვე ბერძნული იდეალიზმის საინტერესო ნაზავს წარმოადგენს. მათი საერთო მიზანი ნაყოფის მომტანი ჭეშმარიტების ძიებაში მდგომარეობს. ხელდასხმის სამი საფეხური: კაბალისტური, მაგიური და ალქიმიური ამ ჭეშმარიტების მოძიების საშუალებას იძლეოდა.

აღმოსავლური – არიული ფილოსოფიის სისტემებიდან გამომდინარეობდა და დასავლური აზროვნების ადაპტაციის შედეგად "თეოსოფიად" იქცა. ბერძნული სიტყვა "თეოს" ღმერთს ნიშნავს, "სოფია" – სიბრძნეს. გავრცელებულია ორი შეხედულება ამ ტერმინთან დაკავშირებით. პირველი – ღვთიური სიბრძნე და მეორე – სიბრძნე, რომელიც ღმერთებს ეკუთვნის. თეოსოფიის სწავლება პირველად ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ალექსანდრიელმა ფილოსოფოსებმა შემოიტანეს, რომელთაც ჭეშმარიტების მოყვარულები ეწოდებოდათ. მათი მთავარი მიზანი იყო ყველა სექტისა და რელიგიის შერიგება ეთიკის ერთი საერთო სისტემის საშუალებით, რომელიც მარადიულ ჭეშმარიტებას ეყრდნობოდა. შესაბამისი დევიზით: "ჭეშმარიტება რელიგიაზე მაღლა დგას".

რაც შეეხება მისტიკას, სულიერ ცხოვრებაში არაფერია მასზე მაღალი და ღრმა. არსებობს მისტიკის ორი სახე: კანონიკური (ეკლესიური) – აღმასვლა, მიახლოვება და ღმერთთან შერწყმა და არაკანონიკური – დაკვირვებადი, მედიტაციური გზით ღვთაებრივ საიდუმლოთა შეცნობა. მისტიციზმი და წმინდანობა ერთი და იგივე არ არის. შეიძლება იყო წმინდანი და არ იყო მისტიკოსი და პირიქით. გასხივოსნების მდგომარეობაში მყოფი მისტიკოსისათვის ყოფიერების საიდუმლოთა შეცნობა რეალური ხდება. გასხივოსნების ნიჭი მისტიკოსის დამახასიათებელი თვისებაა. კულტის მსახურნი ეჭვითა და რისხვით ეკიდებიან არაკანონიკურ მისტიციზმს. ვერ აცნიბიერებენ, რომ იგი ერთ-ერთი უმაღლესი ნიჭია, რომელიც დაბადებიდან ეძლევა ადამიანს ზეციური ძალებისაგან, ხოლო სიწმინდისა და ამ ნიჭის ერთიანობა მას წინასწარმეტყველად ხდის.

არაკანონიკური მისტიციზმი და ოკულტიზმი ღია, საყოველთაოდ მისაწვდომი სწავლებისაგან შედგება. მათგან განსხვავებით ეზოთერიზმი სუბიექტური და დახურულია. ეზოთერული სწავლების პოპულარიზაციას ხშირად ცრუ წარმოდგენებამდე და მჩხიბავობამდე მივყავართ, რაც, როგორც წესი ფსიქიკური აშლილობით მთავრდება. ამიტომ ეზოთერიზმი საიდუმლოდ უნდა იყოს შენახული და დაცული პროფანიზაციისაგან. სწორედ ამიტომ ეზოთერული სწავლება დახურულ ოკულტურ ორგანიზაციების შიგნით მიმდინარეობს.

წმინდა ეზოთერიზმი საფუძველშივე ზეგრძნობადია და ამიტომ მისი სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ხდება საჭირო იგავებისა და ანდაზების მოხმობა, ხოლო მისი ვიზუალური გამოსახვა მისტერიებისა და წარმოდგენების საშუალებით ხდება. ეზოთერიზმსა და რელიგიას მივყავართ მისტიკურობასთან. მისტიკოსი, პრინციპულად, ნამდვილი ეზოთერიკოსია.

მისტიკოსი კომპოზიტორები

ინგლისელმა კომპოზიტორმა კირილ სკოტმა დაწერა წიგნი "მუსიკა და მისი იდუმალი გავლენა საუკუნეთა სვლაზე". წიგნის შექმნას იგი მოძღვარ კუტ ხუმის ნებას უკავშირებს, რომელმაც მას აცნობა, რომ დადგა დრო ფარდა აეხსნას მუსიკის ეზოთერულ (საიდუმლო) გავლენას საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების პროცესზე. პლატონი წერს "მუსიკალური განათლება უფრო ეფექტურია, ვიდრე ყველა დანარჩენი, რადგან რიტმი და ჰარმონია ადამიანის სულს წვდება. უნდა მოვერიდოთ ახალი გვარის მუსიკის შემოტანას, რადგან მუსიკალური სტილის ცვლილება გავლენას ახდენს პოლიტიკურ წყობაზე და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მთლიანობას". არისტოტელეს აზრით, მუსიკა ქმნის ადამიანის ხასიათს, ხელს უწყობს სწორად აღზრდის პროცესს. სკოტამდე ითვლებოდა, რომ ყოველი კულტურული ეპოქა თავის შესაბამის მუსიკალურ სტილს ბადებს. სკოტმა კი ეს იდეა თავდაყირა დააყენა. მისი აზრით, მუსიკა ქმნის კულტურულ ეპოქებს. მოდით, თვალი მივადევნოთ მის არგუმენტაციას.

ძველ ეგვიპტეში მიაჩნდათ, რომ მელოდია არის ადამიანების მიმართვა ღვთისადმი, ხოლო ჰარმონია ღმერთის პასუხი. განხილვას სკოტი ჰენდელიდან იწყებს, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი ინგლისში გაატარა. სკოტის აზრით ჰენდელის მისია დაცემული ინგლისური მორალის აღდგენა იყო. ჰენდელის ორატორიების მუსიკა ღვთისამდი მოწიწებასა და მორჩილებას აღვივებდა და ვიქტორიანული ეპოქის აღმოცენებას და დამკვიდრებას უწყობდა ხელს, რამაც მოიტანა საკუთარი ღირსების შეგნება, სწრაფვა მორალური ცხოვრებისაკენ. ასევე ფორმალიზმის წინ წამოწევა, რამაც შეზღუდა

ორიგინალური აზროვნება, რის გამოც ჰენდელს მოჰყვა არაპროდუქტიული პერიოდი ინგლისის მუსიკის ისტორიაში.

შემდეგ იგი ეხება ბახს – ყველა დროის უდიდეს კომპოზიტორს. როგორც ამბობენ ბახი იწყებს და ამთავრებს მუსიკას. ის ქმნის მარადიულ რითმსა და მელოდიას, პოლიფონიას და ჰარმონიას. ბახმა დიდი გავლენა მოახდინა ადამიანების (განსაკუთრებით გერმანელების) აზროვნების წესზე. ბახის მუსიკის გავრცელებამ გამოიწვია გერმანელ ხალხში ინტელექტუალური აზროვნების ამაღლება. თავისი მუსიკალური ლოგიკით მან გააძლიერა გერმანიაში ბუნებრივად არსებული ფილოსოფოსობის ნიჭი. მისი მოღვაწეობის დროს გერმანიაში დიდი ფილოსოფოსები გამოვიდნენ ასპარეზზე.

ბახის მუსიკის კულმინაციაა "ღვთის ვნებანი მათეს სახარების მიხედვით". ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ეს ნაწარმოები, მისთვის ნაცნობი უნდა იყოს ცნობიერების ის მაღალი ფორმა, რომელშიც იძირება ადამიანის სამშვინველი ამ მართლაც და მაგიური ძალის მქონე ნაწარმოების მოსმენის დროს.

სკოტი თვლის, რომ ეს ნაწარმოები ისევე, როგორც "ღვთის ვნებანი, იოანეს სახარების მიხედვით" ასი წლით ადრე რომ შექმნილიყო, მე-19 საუკუნის გერმანელები არ იქნებოდნენ ამდენად "მეშჩანები". ამას სკოტი იმით ხსნის, რომ ორივე ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებში ხშირად გვხდება დისონანსები, რომელთა გავლენით ორგანიზმის მენტალური მდგომარეობა უფრო მოქნილი ხდება.

ბეთჰოვენი სხვა ამოცანის გადასაწყვეტად იქნა ღმერთის მიერ არჩეული, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მუსიკალურად გაეფორმებინა ადამიანის ყოველგვარი გრძნობები. თუ ბახი უდიდესი პოლიფონისტია – ბეთჰოვენი უდიდესი მუსიკალური ფსიქოლოგია. სკოტი მას ფსიქოანალიზის მამას უწოდებს, რადგან მისი მუსიკა იყო მეცნიერების ამ დარგის ბიძგის მიმცემი. საერთოდ მუსიკას აქვს უნარი ადამიანის ქვეცნობიერებაში დამალული ბევრი გრძნობების გახსნისა და ადამიანის მათგან განთავისუფლებისა. და არავის მუსიკას არ მიუღწევია ამ მხრივ ისეთი სიმაღლისათვის, როგორც ბეთჰოვენის მუსიკას. ბეთჰოვენის მუსიკის განსაკუთრებული თვისებაა ადამიანში თანაგრძნობის აღძვრა - "ყველაფრის გაგება ყველაფრის პატიებას ნიშნავს". იმ ეპოქაში აუცილებელი იყო ადამიანებში ურთიერთგაგების უნარის განვითარება, რაც ბეთჰოვენის მუსიკამ მოახერხა. შედეგად სწრაფად იზრდება საქველმოქმედო დაწესებულებების რაოდენობა.

სკოტი თითქმის არაფერს ამბობს ჰაიდნის, მოცარტისა და შუბერტის შესახებ. ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ძირითადად ავსტრიაში მოღვაწეობდნენ და მათი მუსიკის გავლენა მხოლოდ ავსტრიელზე აისახა თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

ერთი თავი სკოტმა რობერტ შუმანს მიუძღვნა. ხაზგასმულია, რომ მისი მუსიკის ძირითადი ობიექტი ბავშვია. მისი მუსიკის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდი ცვლილებები გამოიწვია მშობლის წარმოდგენაზე ბავშვის აღზრდის საკითხებში.

1840 წელს გაჩნდა პირველი საბავშვო ბალეტი, რაც შუმანის გავლენით აიხსნება. ამ პერიოდში პედაგოგიკაში შემოდის გაგება იმის შესახებ, რომ ყველა ბავშვი აღზრდის თვალსაზრისით ინდივიდუალური არსებაა და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. ამავე დროს თვით ბავშვში უნდა გაჩნდეს სწავლის სურვილი, რადგან თუ შესაბამის პირობებს შეექმნით ბავშვები ესწრაფვიან თვითგანათლებას. ამის დასადასტურებლად მოშველიებულია შუმანის "საბავშვო სცენები", "შობის ალბომები" და სხვ. ბავშვებისათვის მიძღვნილი ნაწარმოებები, რომლებიც მშობლების ყურადღებას ბავშვის სულის გაგებისაკენ უბიძგებდა.

ვაგნერის მუსიკა ყველა გაგებით რევოლუციურია და უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ თაობებზე. ნაწარმოებებში "პარსივალი", "ვნების პარასკევი", "იზოლდას სიკვდილი", "სიმღერა" მისი მუსიკა საოცარ სიმაღლეებს აღწევს და მსმენელის ცნობიერების ზემდგომარეობამდე ამაღლებას იწვევს. მისმა მუსიკამ შეუწყო ხელი გაერთიანებასა და ძმობისკენ მიმართული მოძრაობების შექმნას. ხოლო ამან რომანტიკული და გმირული აქცენტების გამო გერმანელ ხალხში გააღვიძა ძალაუფლებისკენ და ნაციონალიზმისკენ მიდრეკილი გრძნობა, რომლის გამანადგურებელი მოქმედება განიცადა კაცობრიობამ მეორე მსოფლიო ომის სახით. ეზოთერული მეცნიერება ამას ბუნების სულთა ზემოქმედებით ხსნის, რომელთაც მისი აღმაფრენა და ხასიათის ცვლილება გამოიწვიეს, რადგან ხშირად ადამიანები, რომელთაც ბუნების სულნი მედიუმებად ირჩევენ, კარგავენ ზომიერებისა და პროპორციის გრძნობას.

რიხარდ შტრაუსი თავისი მოტივებით ახლოს არის ვაგნერთან. შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო ნაციონალურიც კი არის. თავისი თამამი და არაჩვეულებრივი ჰარმონიებით, მომხიბლავი მელოდიებით მან გააძლიერა ემოციური საწყისი ადამიანში .

ცეზარ ფრანკის, დებიუსის და სკრიაბინის

მუსიკაში პირველად გაისმა ბუნების სულთა მუსიკის ჟღერადობა. ფრანკის ნაწარმოებები უფრო დაკვირვებისადმი განგვაწყობს, ვიდრე ექსტაზისადმი, მაგრამ მათში სავსებით ნათლად ისმის მაღალი სფეროების სირინოზთა მუსიკა. მისი "ვიოლინოს სონატა" დღესაც არ კარგავს მომხიბვლელობას. სკოტი მას ხელდასხმულად თვლის.

დებიუსის სახით, ჩვენ ბუნების სულთა ყველაზე ძლიერ წარმომადგენელთან გვაქვს საქმე. ის პირველი იყო, ვინც გნომებისა და ელფების, წყლისა და ჰაერის სულთა მუსიკა შემოიტანა ადამიანურ გარემოში ("ზღვა", "ბაღები წვიმის ქვეშ" და სხვ.). მან ჰარმონიის ახალი სამყარო აღმოაჩინა. განუმეორებელია მისი დისონანსები.

რუსი კომპოზიტორი სკრიაბინი პირველი ევროპელი კომპოზიტორი იყო, რომელმაც ოკულტური ცოდნა მუსიკას დაუკავშირა. მისი ამოცანა საზოგადოებისათვის სულიერი ინფორმაციის მუსიკის სახით მიწოდებაში მდგომარეობდა, რაც მას გაცნობიერებული ჰქონდა. მაგრამ, ფრანკისგან განსხვავებით, იგი არ იყო გამოცდილი და ხელდასხმული, არც სულიერი მოძღვარი ჰყავდა, ამიტომ ზეციურთან კონტაქტი მისთვის მეტად სახიფათო აღმოჩნდა. მისმა სუსტმა ფიზიკურმა სხეულმა ვერ გაუძლო დატვირთვას და იმგვარად გადაიძაბა, რომ ბნელმა ძალებმა გაანადგურეს. იგი 44 წლის ასაკში გარდაიცვალა ისე, რომ ვერ დაამთავრა თავისი მთავარი ნაწარმოები "მისტერიები", რომელსაც სკრიაბინის ყველა სულიერი იდეა უნდა განეხორციელებინა. ეშინოდათ თუ არა ბნელ ძალებს მისი გავლენისა? კომპოზიტორის მცველ სულიერ ძალებს არ ძალუძდათ მისი დაცვა შეძლების დაბალი დონის გამო. ნაწარმოებებზე "ექსტაზის პოემა" და "პრომეთე" აგრეთვე რამდენიმე საორკესტრო პიესაზე სულიერ ძალთა გავლენა არა მარტო ჰარმონიებში ვლინდება არამედ აღმაფრენასა და ექსტაზშიც, რომლებითაც სავსეა მისი პარტიტურები. მათგან ძლიერი არამიწიერი სილამაზე იღვრება, რომლის შედარება არაფერ მიწიერთან არ შეიძლება, იგი უმაღლეს არსებათა სიმღერაა.

აქამდე სკოტი იხილავდა კლასიკურ მუსიკას, რომელსაც შემოქმედებითი და აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს და არა დამანგრეველი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საჭირო გახდა იმ არასასურველი აზროვნების ფორმების გადატეხა, რაც აბრკოლებდა სულიერ განვითარებას. ეს მისია სტრავინსკიმ, შენბერგმა და ზოგიერთმა ულტრა მოდერნისტებმა იკისრეს. თავისი მკვეთრი დისონანსებითა და არათანაბარი რითმის წყალობით მათ ადამიანის მენტალური სხეული ახალი მუსიკის აღთქმისათვის მოამზადეს. სკოტი ამტკიცებს, რომ მათი მუსიკის მძიმედ მოსასმენი დისონანსების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მუსიკოსებს მხოლოდ ნაწილობრივ ესმოდათ ზეციური მუსიკა. ამის გამო მათ ვერ შეძლეს დისონანსების სწორედ გადაწყვეტა. აქვე უნდა აღინიშნოს ჯაზის მავნე გავლენა, რაც უარყოფითი ადამიანური ინსტინქტების აღძვრასა და გაძლიერებაში მდგომარეობს. განსაკუთრებით ეს სქესობრივ ლტოლვას ეხება. სკოტი თვლის, რომ ჯაზი ბნელი ძალების გავლენით შეიქმნა. არათანაბარი რითმების ზომას გადამეტებული ხმარება საბრძოლო ყიჟინას ჰგავს და განადგურების წყურვილს წარმოშობს. უკანასკნელ ხანს ჯაზში შეიმჩნევა რაფინირებული ჰარმონიების შემოტანა, რაც მას უფრო პოპულარულს ხდის. თანდათანობით თანამედროვე მუსიკაში შეიმჩნევა გამოდარება და გაბრწყინება (ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში) თუმცა მუსიკა ყოველთვის ხელოვნების სხვა დარგებზე წინ მიდის. ამის იმედს იძლევიან ბრუკნერის "ტე დეუმ", ბრამსის "რეკვიემი", პფიცნერის ოპერა "პალესტინა", შმიდტის "შვიდ ბეჭდიანი წიგნი" და ხინდემიტის "რეკვიემი".

მომავლის მუსიკის შესახებ სკოტი შემდეგი აზრისაა "დღემდე ჩვენს მიწიერ მუსიკაში ოდნავ თუ შევძელით შორეულ სფეროთა მუსიკის ექოს გადმოცემა. მომავალში კი მოგვეცემა უნარი უდიდესი კოსმიური სიმფონიის გამოსახვისა. ამ ერთიანობის განუმეორებელ სიმღერაში იქნება სიყვარულის, სიბრძნის, ცოდნის, სიხარულისა და სხვა ადამიანური გრძნობების სინთეზი და მაშინ მისი მომსმენი ადამიანი განიმსჭვალება ღვთაებრივი გავლენით და ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მარადიული მატარებელი გახდება".

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. შტაინერის ნარკვევები.
2. А.У.М. «Синтез математических учений запада и востока» Нью-Иорк, 1989г., 1990 г.
3. ბიბლია და სახარება.